თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროექტი ,,გააცანი შენი პროფესია“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტი 2007 წლიდან აქტიურ საგანმანათლებლო ღონისძიებეს ანხორციელებს საქართველოს სკოლებში.

საბავშვო უნივერსიტეტის მიზანია სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცის დაახლოება. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტით იგი ცდილობს აბტიტურიენტის გზამკვლევის ფუნქცია შეასრულოს პროფესიის არჩევასა და დაგეგმაში.

მიზნის მისაღწევად რადენიმე პროექტი განხორციელდა. უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გაცნობა (თსუ დესპანი), სხვადასხვა სპეციალობის ფარგლებში წაკითხული ლექციები (ნორჩთა სკოლები) და ა.შ.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი იწყებს ახალ პროექტს, რომლის მიზანია აბიტურიენტების ინფორმირება მომავალი პროფესიის შესახებ. პროექტის სახელწოდებაა: ,,გააცანი შენი პროფესია“.

უნივერსიტეტში არსებული 6 ფაკულტეტი 51 ვიწრო პროფილს (სპეციალობას) სთავაზობს აბიტურიენტს. თითოეული სპეციალობა გამოირჩევა სწავლების სპეციფიკით. იმისათვის რომ აბიტურიენტმა სწორად დაგეგმოს საკუთარი პროფესიული კარიერა, საჭიროა ზუსტად იცოდეს თუ რას გულისხმობს მისთვის სასურველი სპეციალობა. რა უნდა გაითვალისწინოს არჩევის დროს.

სპეციალობის შესახებ სასურველია აბიტურიენტმა ინფორმაცია მიიღოს სტუდენტისგან, რომელმაც მოახერხა დარგის არჩევა. მეთოდი საშუალებას აძლევს აბიტურიენტს იყოს უფრო მეტად გახსნილი ფორმალური თუ არაფორმალური კითხვების დასმის დროს. მსგავს პროექტებში სტუდენტთა ჩართვის გამოცდილება თსუ საბავშვო უნივერსიტეტს უკვე აქვს, მაგ., პროექტი თსუ დესპანი, რომლის მიზანი აბიტურიენტებისთვის უნივერსიტეტის გაცნობაა. მართალია, ამ პროექტის ფარგლებში, სტუდენტები საკუთარი პროფესიის შესახებაც ყვებოდნენ, ეს არ ყოფილა სისტემური და სავალდებულო კომპონენტი. პირველ წელს თუ უნივერსიტეტის დესპანთა რიცხვი 120 იყო, მეორე წელს 600 -ზე მეტი სტუდენტი ჩაერთო აღნიშნულ პროექტში და ინტერესი კიდევ უფრო იმატებს. ვითვალისწინებთ რა პროექტებში სტუდენტთა ჩართვის პოზიტიურ გამოცდილებას, მიგვაჩნია, რომ ,,გააცანი შენი პროფესია“ ანალოგიურ სისტემას შეიძლება დაემყაროს. პროექტის საწყისი ეტაპი მოიცავს ქ. თბილისის სკოლებს. დედაქალაქში არსებულ თითოეულ რაიონში შეირჩევა 6 საყრდენი სკოლა, სადავ ერთი კვირის განმავლობაში 6-ვე ფაკულტეტი იქნება წარმოდგენილი.

სტუდენტა შერჩევა მოხდება სააპლიკაციო ფორმის შევსების

საფუძველზე, სადაც გავითვალისწინებთ აკადემიურ მოსწრებას (საშუალო აკადემიური მაჩვენებელი GPA 2,5 და ზევით), აქვს თუ არა მეორადი (minor) პროფესია საკუთარ თუ სხვა ფაკულტეტზე და რომელი სემესტრის სტუდენტია (III- სემესტრი და ზევით). ერთი რაიონისთვის შერჩეული სტუდენტები სხვა რაიონის სკოლებში არ იქნებიან მივლინებული.

თბილისის მასშტაბით პროექტის მიმდინარეობა ასე წარმოგვიდგენია

ქ. თბილისის N რაიონი

6 საყრდენი სკოლა რაიონში. პირობითად # 1, 2, 3, 4, 5, 6.

სკოლები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი
1	ზუსტ. და საბუნებისმეტყველო	ეკონომიკა	სამედიცინო	სოციალურ-პოლიტიკური	იურდოული	ჰუმანიტარული
2	ჰუმანიტარული	ზუსტ. და საბუნებისმეტყველო	ეკონომიკა	სამედიცინო	სოციალურ-პოლიტიკური	იურდიული
3	იურდიული	ჰუმანიტარული	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	ეკონომიკა	სამედიცინო	სოციალურ-პოლიტიკური
4	სოციალურ-პოლიიტიკური	იურდიული	ჰუმანიტარული	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	ეკონომიკა	სამედიცინო
5	სამედიცინო	სოციალურ-პოლიტიკური	იურდიული	ჰუმანიტარული	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	ეკონომიკა
6	ეკონომიკა	სამედიცინო	სოციალურ-პოლიტიკური	იურდიული	ჰუმანიტარული	ზუსტი და საბუნებისმეტყველო

თბილისის მასშტაბით პროექტის დაწყების სავარაუდო თარიღია 25 ნოემბერი და 6 კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

მეორე ეტაპი. თბილისის პარალელურად პროექტის განხორციელება იგეგმება ქ. რუსთავში. აქ ორგანიზაციული საკითხები განსხვავებული და შედარებით მარტივია. როგორც მოგეხსენებათ რუსთავში თსუ-ის აქვს საკუთარი შენობა, ტაშკენტის ქ. #6. ამჟამად აქ ტარდება თსუ რუსთავის საბავშვო უნივერსიტეტის შეხვედრები. პროექტის მიმდინარეობისას ყოველ კვირას რუსთავში ერთი ფაკულტეტის სტუდენტები გაემგზავერებიან, რუსთავის 38-ვე სკოლის აბიტურიენტებთან შეცახვედრად. რუსთავის პროექტისთვის მსურველების შერჩევის დროს, გარდა ზემოთ აღწერილი კრიტერიუმებისა, უპირატესობას ქ. რუსთავში მცხოვრებ თსუ-ის სტუდენტებს მინავნიჭებთ. **მესამე ეტაპი.** პროექტის მოცემულ ეტაპზე მოხდება საქართველოს რეგიონებში გასვლა. როგორც მოგეხსენებათ, თსუ საბავშვო უნივერსიტეტი აქტიურად ატარებს საგანმანათლებლო ღონისძიებებს საქართველოს რეგიონებში. თითოეულ გასვლით შეხვედრაზე რეგიონებში პრეზენტაციას გააკეთებს პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი. გარდა საორგანიზაციო ჯგუფისა, გასვლით შეხვედრებზე პრიორიტეტი მიენიჭება კონკრეტულ რეგიონში მცხოვრებ თსუ-ის სტუდენტს. **მეოთხე ეტაპი.** მოცემული ეტაპი გულისხმობს არაქართულენოვან რეგიონის სკოლებში პროექტის განხორციელებას. პრიორიტეტი მიენიჭება რუსულენოვან, აზერბაიჯანულ და სომხურენოვან თსუ-ის სტუდენტებს. პროექტში მონაწილეებს გადაეცემათ სერთიფიკატი, რომელსაც უნდა მიენიჭოს სამეცნიერო მოხსენების სტატუსი და წონა ექნება პრეზიდენტის სტიპენდიის კონკურსის დროს. ვსარგებლობთ რა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოცდილებით, რომლებმას თსუ- დესპანში მონაწილეობის დამადასტურებელ სერთიფიკატს მიანიჭეს ქულა, გვსურს რომ აღნიშნული სტანდარტი დაინერგოს ყველა ფაკულტეტზე, რისთვისაც რექტორს წინადადებით მივმართეთ.

აპლიკაციების მიღება იწაროებს 4 ნოემბრიდან მეილზე junior@tsu.ge. სააპლიკაციო ფორმა განთავსებული იქნება, როგორც ვებ-გვერდ junior.tsu.edu.ge /კატეგორია პროექტები/ ასევე Facebook.com/თსუ-დესპანი/TSU-envoy და Facebook.com/თსუ საბავშვო უნივერსიტეტი